

მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „ ბ-კონსტრუქცია “ (ს/კ 416342274) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). „კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, მაზნიაშვილის ქ., N2. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: B18071650, რეგისტრაციის თარიღია 04/07/2018 და საიდენტიფიკაციო კოდი: 416 342 274.

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

შპს „ბ-კონსტრუქცია“-ის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს რკინა-ბეტონისა და წინასწარდაძაბული კოჭების დამზადება/მონტაჟი.

კომპანიის დამფუძნებლები 31 დეკემბრის 2020 წლის მდგომარეობით იყვნენ: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Construction Service (404935647) - 35% წილის მფლობელი, გიორგი მისაბიშვილი, (01024021897) – 50%, ნინო გაბუნია (01024068204) – 5%, ელგუჯა დურგლიშვილი (16001025709) – 5%, ვანდა წვერიანაშვილი (01191008326, 48807281797, 22771281) – 5%. ანგარიშგების ათვითვის თარიღისათვის დამფუძნებლების ვინაობა არ შეცვლილა.

1. კომპანიის განვითარების გეგმა

კომპანიაში დაგეგმილია კოჭების საწარმოო დანადგარის მშენებლობა დასავლეთ საქართველოში, რათა შეუფერხებლად მოახდინოს საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციის მიწოდება/მონტაჟი. ასევე კომპანიის გრძელვადიანი გეგმა უფრო მეტი ერთგული პარტნიორის მოზიდვა.

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 6,892 (ექვსი ათას რვაასოთხმოცდათორმეტი ლარი) ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

➤ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

➤ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობა სრულად ეხება სამშენებლო სექტორს რომელსაც ახასიათებს რამოდენიმე ძირითადი რისკი.

ბაზრის შემცირება

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს რომ სამშენებლო სექტორს ახასიათებს მაღალი სენსიტიურობა ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში, რაც ნიშნავს ამ სექტორის საგრძნობლად შემცირებას ეკონომიკური რეცესიის პირობებში. ასევე, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის სტიმულირების შემთხვევაშიც, მისი პოზიტიური ეფექტი სამშენებლო სექტორზე საკმაოდ დიდ პერიოდს მოითხოვს. თუმცა კომპანიის სტრატეგიიდან გამომდინარე აღნიშნული რისკი მინიმალურზეა დაყვანილი.

კომპანიის სტრატეგიის შედეგად, მთავარი დამკვეთი არის სამთავრობო სტრუქტურებზე დამოკიდებული სამშენებლო კომპანიები, რომელთაც ეკონომიკური რეცესიის პირობებში ინფრასტრუქტურულ პროექტებში ფულის დაბანდებას ზრდის. შესაბამისად, ეკონომიკური დადმასვლის ეფექტის რისკი კომპანიაზე შემცირებულია.

ვალუტის კურსი

გარკვეული სამშენებლო მასალების შესყიდვა კომპანიებს უწევთ უცხოეთთან ან იმპორტიორებისგან, შესაბამისად მათი ფასების დადგენა ხდება უცხოურ ვალუტაში, რაც ნიშნავს ეროვნული ვალუტის გაუფასურების პირობებში სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდას. კომპანიას კონტრაქტების დიდი ნაწილი 1 წლის ვადით გაფორმებული ხოლო ფასის დადგენა ხდება ეროვნულ ვალუტაში კონტრაქტის გაფორმებისას. აღნიშნული კონტრაქტები იძლევა საშუალებას 20-30% ავანსის მიღებას, რაც არ არის საკმარისი მასალების მთლიანად შეძენისთვის. შესაბამისად, კონტრაქტის პერიოდის განმავლობაში კომპანია იღებს რისკს ფასების ზრდაზე რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალები პროექტიდან. აღნიშნული რისკის შესამცირებლად, კერძო კონტრაქტების შემთხვევაში ხდება ფასების უცხოურ ვალუტაში დაფიქსირება, ხოლო სახელმწიფო კონტრაქტების შემთხვევაში კომპანია ახდენს ფინანსური რესურსების მობილიზაციას რათა მოხდეს მასალების მაქსიმალური ნაწილის წინასწარ შეძენას და ფასების ზრდის რისკის მინიმალიზაციას.

ლოჯისტიკის რისკი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა თავის თავში გულისხმობს ხიდის მშენებლობისთვის რკინა-ბეტონის/წინასწარდამზადებული კოჭების წარმოებას, მიწოდებას და მონტაჟს. შესაბამისად, კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მეგობარ კომპანიებთან შეუფერხებელ ტრანსპორტირებაზე, რაც გულისხმობს დამკვეთისთვის საჭირო დროს ყოველთვის იცოს გამოყოფილი შესაბამისი ტრანსპორტი.

ძირითადი საშუალებების ან მასალის დაზიანების რისკი

კომპანიის სპეციალიზირებიდან გამომდინარე, მის მფლობელობაში არის უნიკალური დანადგარი რომლის ანალოგი საქართველოში მცირეა. შესაბამისად, სათადარიგო ნაწილების მოძიება საქართველოში თითქმის შეუძლებელია. მუდამ არსებობს რისკი ძირითადი საშუალება დაზიანდეს და აქედან გამოწვეული კონკრეტული ზარალის გარდა გართულდეს კონტრაქტის შესრულება დროულად.

რისკების შესამცირებლად, კომპანია მუდამ ახორციელებს თავის საწარმოო დანადგარის მონიტორინგს და შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას.

COVID-19-ის გავლენა

საქართველოში COVID-19 -ის ინფიცირების პირველი შემთხვევა 2020 წლის თებერვლის ბოლოს გამოვლინდა და 2021-ის ოქტომბრის მონაცემებით 684 337 ადამიანი იქნა დაინფიცირებული და აქედან 9 657 შემთხვევა დასრულდა ფატალურად. აღნიშნული ციფრები მიუთითებს როგორც გარდაცვალების საშუალო პროცენტულობას ასევე დაინფიცირების საშუალოზე მაღალ არეალს. ვირუსმა შეცვალა ყოველდღიური ცხოვრება თითოეული საქართველოს მოქალაქისა. 2020 წლისგან განსხვავებით მთავრობამ შეამსუბუქა მიღებული რეგულაციები: საზღვრების ჩაკეტვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა, კომენდანტის საათი... რეგულაციებმა ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა ტურიზმსა და სარესტორნო ბიზნესს, რამაც თავისი წილი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე.

კომპანია მონაწილეობს ინფრასტრუქტურულ პროექტებში მთელი საქართველოს მასშტაბით შესაბამისად, მთელი საქართველოს მასშტაბით საჭირო არის ნედლეულის მიწოდება, თანამშრომლების გადნაწილება და მონიტორინგის განხორციელება. საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებიდან გამომდინარე მიმდინარე რეგულაციები არ შეხება კომპანიას და ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდა საქმიანობას. მცირედი შეფერხების მიუხედავად კომპანიას არცერთ პროექტზე არ უფიქსირდება ვადაზე გვიან დასრულება.

5. კომპანია არ ფლობს **სხვა კომპანიების აქციებს** და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.
6. **ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა** და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „ბ-კონსტრუქცია“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის.
7. **ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ**
კომპანიას, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია ფილიალები.
8. **ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6892	11365	76400
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	144943	371860	8173
მარაგები	110352	150922	367828
სხვა	110352	150922	367828
სხვა მოკლევადიანი აქტივები	53379	0	56952
ძირითადი საშუალებები	527525	619184	36838
სხვა გრძელვადიანი აქტივები	212157	0	0
სულ აქტივები	1055248	1153331	546191

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	14074	128174	72874
საგადასახადო ვალდებულებები	0	24964	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	36994	327064	483195
სხვა ვალდებულებები	0	35852	0
სულ ვალდებულებები	51068	516054	556069

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1004180	637277	-9878
სულ საკუთარი კაპიტალი	1004180	637277	-9878
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1055248	1153331	546191
სულ მოკლევადიანი აქტივები	315566	534146	509353
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	51068	480201	556069

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	2414441	2208341
საქონლის გაყიდვიდან	2414441	2208341
გაყიდვების თვითღირებულება	-1833781	-1465286
საერთო მოგება	580660	743055
საპროცენტო ხარჯი	-2295	-43225
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-200479	-52266
სულ საოპერაციო ხარჯები	-202774	-95491
საოპერაციო მოგება	377886	647564

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-274	-409
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-10709	0

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	366903	647155
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	366903	647155
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	366903	647155
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	637277	-9878
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1004180	637277

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

- 2020 წლის ბოლოს, კომპანიაში დასაქმებული იყო 15 ადამიანი, ხოლო 2019 წლის ბოლოს 20 ადამიანი
- 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ აწარმოა 129 რკინა-ბეტონისა და 63 წინასწარდამზადებული კოჭი საავტომობილო ხიდების მშენებლობისთვის, 2019 წელს კომპანიამ განახორციელა ორმოცდათვრამეტი კოჭის წარმოება.

თარიღი: 22-10-2021

დირექტორი:

ელგუჯა დურგლიშვილი

